№ 202 24 სეკტემბერი, ოთხშაბათი. 1866—1880 24 ეკტემბერი, ოთხშაბათი. № 202

**რედაქცია**
ერევნის მოედანზე, სასახლის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ქუთათელის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**
მიიღება „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ и „Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთი რუსულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დროება**
ღირს სამი მანეთი
**ივერია**
ოთხი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი
„დროების“ ფოჩტა

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურლი**, 22 სექტემბერს. გაზ. „ნოვოე ვრემიაში“ სწერენ, რომ სტასიულევიჩი მომავალის წლის 1 იანვრიდამ იწყებს ახალი დიდი გაზეთის გამოცემას, რომელსაც სახელად ერქმევა „წ ე ს ი ე რ ე ბ ა“ (Порядокъ).

**ლონდონი**, 21 სექტემბერს. გლადსტონი, გრენვილი, გარკოტი და ნორზებრადი თავიანთ მამულებში წავიდნენ; გარტინგტონი ბალმორალში მიდის. ტყუილი გამოდგა ის ამბავი, ვითომც ხვალ მინისტრების რჩევა იქნება მოწვეული.

**პეტერბურლის ბირჟა**, 22 სექტემბერს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრამის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 94 | 25 |
| მეორესი — — — — — | 92 | 25 |
| მესამესი — — — — | 93 | 25 |
| მეოთხესი — — — — | 92 | 37 |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 91 | „ |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90 | 7 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 90 | 87 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — — | 8 | „ |

თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — „ — „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 221 | 50 |
| მეორე სესხის — — — | 216 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 | 62 | პენსი |
| ჰამბურლი — — | 211 | 25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 261 | 50 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |

კავკასიის კერასინი — — —

## გლეხ-კაცებისაგან მამულის შეძენა

ტფილისი, 23 ენკენისთვე.

ვგონებ ძნელათ მოიძებნება იმისთანა მამულის მოყვარული და მამულის შეძენის მსურველი კაცი, როგორიც არის ჩვენი გლეხ-კაცი. ჩვენს გლეხ-კაცს მარტო იმიტომ კი არ უყვარს თავის მამული, რომ მისგან და მხოლოდ მისგან გამოელის საცხოვრებელს; იმას უყვარს მამული საყვარელსავით, მარტო ანგარიში არ არის სიყვარულის მიზეზი და ამის გამო ძნელია ჩვენი გლეხ-კაცის მამაპაპეულის მამულისაგან მოშორება და სხვა მამულზედ გადასახლება, გინდა ეს მამული მის საკუთარზედ უკეთესიც იყოს.

როდესაც რომელიმე გლეხ-კაცის ახლო მდებარე მამულს ჰყიდის პატრონი, უნდა ნახოთ, რა რიგი სურვილი იხატება გლეხ-კაცის სახეზედ იმ მამულის შეძენისა; ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვას:

„— ვაიყიდებით და იმ მამულს კი ხელიდამ არ გაუშვებო.“

და სურვილი ადვილათ გასაგებია, რადგან გლეხ-კაცს ძვირათ ექნება იმოდენა მიწა, რომ ეყოს საცხოვრებლად და რაც აკლდება, სხვა უცხო პირს უნდა გამოართვას სალალოთ.

რა გული უნდა ჰქონდეს ერთისა და ორის წლით გამორთმეულის მიწის შემუშავებისა, როდესაც დარწმუნებულია, რომ დღეს არა ხვალ პატრონი ისევ გამოართმევს და სხვას მისცემს? რათ ეცდება სხვის მიწის გაუმჯობესობას, გაპატივებას?

ცხადია, რომ როგორც თვითონ გლეხ-კაცებისათვის, ისე საზოგადოდ სიმდიდრის გამრავლებისათვის ისა სჯობს, რომ გლეხ-კაცობამ საკუთრებათ შეიძინოს იმოდენა მამული, რამდენსაც მისი მუშაობა მისწვდება, რისაც მოვლა თითონვე შეუძლია. თვითონ გლეხ-კაცობაც არა სდგას უარზედ და ყოველთვის მზად არის გასაყიდი მამული შეისყიდოს; რაც შეეხება ფსსა, როდესაც კი გასაყიდ მამულის წვრილ-წვრილად დაყოფა შესაძლებელია, გლეხ-კაცს ვერავინ შეეცილე; არავინ არ მისცემს გლეხ-კაცის-ტოლს ფასს, რადგან პატარა მამულიდამ გლეხ-კაცსავით ვერავინ ისარგებლებს.

მაშ რაღა უშლის გლეხ-კაცებს, რატომ რაც პატარ-პატარა მამულები იყიდება, გლეხ-კაცებს არა რჩებათ და სხვა გარეშე, უცხო პირთ რათ უშვებენ? ხელს უშლის მეტის-მეტად დახლართული წესი მამულის შესყიდვისა; ვინ არ იცის, რამდენი წვალება უნდა გამოიაროს კაცმა, როდესაც მამულსა ჰყიდულობს, რამდენჯერ უნდა მივიდეს ნოტარიუსთან, რამდენი სხვა-და-სხვა ქაღალდები...

„კუპჩა“, „ვვოდნი ლისტი“ უნდა დაამტკიცებინოს; მან არ იცის აგრეთვე რამდენს უნდა ელიტინი, თუნდა რუსულიც იცოდე, სხვა და სხვა წვრილმანს მწერლებს, ვიდრე უბრალო რამე ცნობას გამოიტანდე. თუ კი რუსულად მოლაპარაკესთვის ასე გასაჭირია ამ გვარს ალაგებში სიარული, წარმოიდგინეთ რა ძნელი უნდა იყოს ეს სიარული ხამის გლეხ-კაცისთვის, რომელსაც ერთს უბრალო საქმეზედ რამდენჯერ უნდა უთხრან „ხვალ მოდიო“?!

ვიდრე ეს დამაბრკოლებელი მიზეზი არ მოისპობა, ბევრი გლეხ-კაცი ვერ გაბედავს მამულის შესყიდვას და გლეხ-კაცის მაგიერად მამულებს შეისყიდიან სხვა და სხვა უცხო ტომის ხალხნი, რომელთაგანი ბევრი ცხრა თოკში არის გამომძვრალი და არ გაუჭირდება სასამართლოებში სიარული.

ერთის სიტყვით, ეს დამაბრკოლებელი მიზეზი უნდა გაადვილდეს და მაშინ ჩვენი წარმოებაც ერთი ორად იმატებს და მამულის ნაწარმოებიც ისე ძვირი აღარ იქნება, როგორც ეხლა არის.

როგორ და რა გზით შეიძლება ამ საქმის გაადვილება, როგორ და რა გზით შეიძლება, რომ, როდესაც კი გლეხ-კაცმა მოიწადინოს მამულის შესყიდვა, წინ აუარებელი გაჭირება არ დახვდეს, ეს სპეციალისტების საქმეა; ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ადრე თუ გვიან ეს ცვლილება უნდა მოხდეს, თორემ ჩვენი მამულების მომეტებული ნაწილი უცხო გადმოკარგულების ხელში ჩავარდება და ჩვენი გლეხ-კაცი კი, რომელსაც ღმერთმაც და კაცმაც მამული ორის ხელით უნდა მისცეს, პირში ჩალა გამოვლებული დარჩება.

---

**დ რ ო ე ბ ი ს ფელეტონი, 24 ენკენისთვე**

### მეგობარს

ვაუქმებული, პირ-უმთვრეველი
კვალად ავიღე ხელში კალამი,
მხოლოდ მისთვის, რომ სიმდაბლით
წრფელი
გულით მოგიძღვნო, ძმაო, სალამი!

აბა გვაცნობე, გასაჯე თავი:
როგორ მშვიდობით ხარ, მეგობარო,
ისე გვწყურია შენი ამბავი,
როგორც დაკოდილს ირემსა წყარო!.

ვინდა ვიცოდეთ, (ხარ მეგობარი):
ვით შეეთვისე მაგ უცხო მხარეს,
სადაც სიბნელე სხვა-და-სხვა გვარი
სქლად მოსდებია გულ-ბნელსა მხარეს,

შეხორცებია ჯაჭვსა მონების,
სულსა აშფოთებს, გულსაც აბნელებს
და მით სიცოცხლეს ჭკუა-გონების
აცოცხალ-მკვდარებს, ისე აძნელებს?!

ხომ არ შეგიფრთხო, ჩემო ვიორგი,
მით ეგ უმანკო ჭაბუკი გული,
და შეგაპარა მან შიგ აღმბორგი,
სისუსტის თესლი, ცრუ-სინანული,

შენის წარსულის წინა ცხოვრების
იმ საქებისა და უცოდველის,
რომელიც თვისის ნამდვილ ღირსების
მართლ-დაფასებას ბოლოს მოელის?

ეგებ შესწუხდი, ვითა გულ-ჩჩვილი
და სისუსტისგან თავსაც დაბლა ჰხრი,
როს გაგონდება ბუნებით ტკბილი
ტკბილ-მომღიმარი შავის ზღვის პირი;

თუ ვით მამაცი, გამოცდით ბრძენი,
გულ-კლდოვანი და შეურყეველი,
შენს ბედის დევნას შენვე დასცინი
და მოთმინებით სულ სხვა ბედს ელი.

გაგონდებიან, როს გული გიწუხს,
შენი აქ მყოფი, შენ, მეგობრები?
და ოცნებითა შენს გულის პასუხს
იმით უმჟღავნებ, ესაუბრები?!

და მითი უფრო მოუსვენარათ
შენი სურვილი გულში მწიფდება,
და იმ ნეტარს დღეს მოელი მარად,
როს ჩვენი ჰაზრიც გახელმწიფდება?

მაშინ ჩვენც, ძმაო, რომ დავინახავთ
შენის ვარსკვლავის საამო კაშკაშს,
ბედნიერებათ ჩვენს თავს დავსახავთ
და ალტაცებით დავჰკრავთ ხმოვანს
ტაშს.

კმარა, რაც დღემდის ახლად და
ძველად
გადაგვხდომია დიდი საბრიყვო;
აწ კი დრო არის, რომ დროს შემცვლელად
მოგვესმას ჩვენში ერთი: „ყიყიყო“!

აკაკი.

### თფილისიდამ ხარკოვამდი

ორთქლით მატარებელი დაიძრა და მალე მოგვაშორა თვალიდგან თფილისი.

მკითხველი მიხვდება, რა გზა უნდა გვიარო და იქნება კარგათაც იცნობდეს იმ ადგილებს, რომელთაც გავიელი. ამისთვის იქნება არ გახადოს ეს სტრიქონები ყურადღების ღირსი. იქნება ეს ადგილები ბევ-

## თფილისის ქალაქის რჩევის სხდომა

22 ენკენისთვეს.

სხდომა გაიხსნა საღამოს 8½ საათზე. თავმჯდომარეობს ქალაქის თავის მოადგილე არტ. ალ. თამამშოვი.

უველაზე პირველად ჩამოვარდა ლაპარაკი ხმოსანის დოქტორ ვართანოვის წინადადებაზე, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენს ქალაქში ხორაგეულის გაიაფებისათვის ზოგიერთები საყასბოის ქალაქის წრეში გადმოტანას გვირჩევენო და ზოგნი კი ჩარჩების მოსპობასაო. ჩემის აზრით ვერც ერთი ეს საშუალება ძირიანათ ვერ მოსპობს ამ სიძვირეს; უველაზე უკეთესი ის იქნება, თუ ქალაქის ხაზინიდამ გადავდებთ 50-100 ათას მანეთამდინ და ამ ფულით როცა სიძვირე ჩამოვარდება საკლავ საქონელს ანუ პურს ვიყიდით და შემდეგ იაფ ფასად გავყიდით ქალაქის მცხოვრებლებზე.

**ქალაქის თავის მოადგილე.** ამ წინადების დასამატებლად მე უნდა მოგახსენოთ, რომ, როდესაც ამას წინათ მეფურნეებმა პირი შეჰკრეს და პურს აღარ ჰყიდდენ, იმ დროს ზოგიერთი პურის ვაჭრობაში გამოცდილი პირები მოვიწვიე ამ საგანზე მოსალაპარაკებლად და იმათი აზრიც ის იყო, რომ ქალაქის გამგეობას შეუძლიან რუსეთიდამ პური დაიბაროსო, იაფ ფასად მიჰყიდოს მეფურნეებსაო მხოლოთ იმ პირობით, რომ ამათ გამგეობისაგან დანიშნულის ტაქსიით გაჰყიდონ გამომცხვარი პური. ბ. ანტ. ს. უორდანოვის სიტყვით როსტოვიდამ ზოტანილი პური ფუთი 1 მან. და 75 კაპეიკზე ძვირად არ დაგვიჯდებოდა და აქ კი ამ გვარი პური 2 მან. და 20 კაპ. ნაკლებ არ იშოვება. 30-40,000 მან. რომ ატრიალოს ქალაქის გამგეობამ ამ საგნისათვის, დიდ შეღავათს მოუტანს ღარიბ ხალხსაო.

**ხმოს. ლ. კ. ელიმირზოვი.** რადგან აქ ბაასით ეს საგანი რიგიანად ვერ გამოიკვლევა და რადგანაც ამ გვარი საგნის განხილვა ცალკე კომმისიას აქვს ჩვენგან მინდობილი, ამის გამო, ჩემის აზრით, ეს საქმეც იმ კომისიას მივანდოთ, განიხილოს, მოილაპარაკოს და შემდეგ თავის აზრი წარმოგვიდგინოს.

**ხმოს. სტ. გ. ზარაფოვი** მე მგონია, რომ 30-50 ათასის მანეთის ხორცსა და პურს ამოდენა ქალაქში სიაფის ჩამოგდება არ შეუძლიან. უველაზე უკეთესი საშუალება სიიაფისათვის ის იქნება თუ მოვახერხებთ, რომ ჭირნახულის მწარმოებლებისაგან პირ-და-პირ მომხმარებლებმა იყიდონ ხორაგეული; ყვილაფერს შუა-კაცები, ვაჭრები აძვირებენ, ესენი ჩამოაცალეთ მწარმოებელ მხმარებელს და დარწმუნებული ვიყავით, რომ პურიც, ხორციც და სხვა ყველა ხორაგეულიც გაიაფდება. ამისათვის საჭიროა, რომ ქალაქმა თავის ხარჯით გამართოს ისეთი იარმუკები და დეპოები, სადაც სოფლიდამ ჭირნახულის ჩამომტან ხალხს შეეძლოს თავის საქონლის გაყიდვა და თუ ერთ დღეს ვერ გაჰყიდის, ამ შემთხვევაში შეეძლოს საქონლის მიბარება ქალაქის მაკლერისათვის, რომელიც მაზანდით გაჰყიდის და ფულს პატრონს ჩააბარებს. ამ გვარი დეპოები და იარმუკები ყველა ევროპის დიდ ქალაქებშია გამართული.

**ხმოს. როტინიანცი.** ვერც ერთი მოხსენებულ საშუალებათაგანი ვერ დაეხმარება ჭირნახულის გაიაფებას. ვაჭრობას სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული. მალე ბაქოს რკინის გზა გაგვიკეთდება და რუსეთიდამ იმდენს პურს მოიტანენ, რომ ამის ფასი ნახევარზე დაიწევს.

**რჩევამ გარდაწყვიტა:** ვართანოვის წინადადება (სიძვირის თაობაზედ) გარდაიცეს კომმისიაში, რომელმანც ერთის თვის განმავალობაში წარმოუდგინოს რჩევას, ამ საგნის შესახებ, თავის აზრი.

სეკრეტარმა წაიკითხა ხმოს. ავერკიევის წერილი, რომლითაც ის აცხადებდა, რომ, რადგანც, სამსახურის გამო, სხვა ქალაქში გადავდივარ საცხოვრებლად, ამის გამო ხმოსანის მოვალეობას ვეღარ ავასრულებ და ვითხოვო, რომ რჩევამ განმათავისუფლოსო.

ამ საგანზე მოლაპარაკების დროს, ერთმა ხმოსანმა სთქვა, რომ ამ ჟამად ბ. ავერკიევის საქმე ისეთს მდგომარეობაში არისო, რომ შეიძლება კიდევ დარჩეს ისევ ჩვენს ქალაქშიო.

ამის გამო რჩევამ ერთ-ხმად გარდაწყვიტა, სთხოვონ ბ. ავერკიევს ნუ მიატოვებს ხმოსანის თანამდებობას.

სეკრეტარმა წაიკითხა მეორე ამ გვარივე წერილი ხმოს. ნიკოლაძისა, რომელშიაც მოყვანილი იყო, რომ ვიცე - გუბერნატორმა გამომიცხადა მეო, რომ იმ სიტყვისათვის, რომელიც მე წარმოვსთქვი ქალაქის რჩევის სხდომაზე, ქალაქის გამგეობისა და ადმინისტრაციის შეტაკების შესახებ, დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა ინებაო, რომ თქვენ საცხოვრებელ ალაგათ დაგენიშნოსთ ქალაქი სტავროპოლიო; და რადგან მე არ ვიცი, თუ რამდენი ხანი მომიხდება მე სტავროპოლში დარჩენა, ამის გამო გთხოვთ ხმოსანის მოვალეობიდამ განმათავისუფლოთ.

**ხმოს. ალექ. ჩოლაყაშვილი.** რადგან ბ. ნიკოლაძეს ჯერ კიდევ ორი წელიწადი აქვს ხმოსნობის ვადა და რადგან შესაძლებელია, რომ ამ ორის წლის განმავალობაში იმას მიეცეს უფლება ისევ თფილისში საცხოვრებლად დაბრუნებისა, ამის გამო ჩემი აზრი ეს არის, რომ იმასაც ვსთხოვოთ დარჩეს ხმოსნად.

**რამდენიმე ხმა.** ვსთხოვოთ! ვსთხოვოთ!

**კოსტ. ალ. ბებუთოვი.** მე მაკვირვებს, რომ ამ საგანზე არავინ ხმას არ იღებს ამ შეკრებილებაში, რომელმანც, როდესაც ბ. ნიკოლაძემ წარმოსთქვა თავის სიტყვა, ტაში დაუკრა, გაამხნევა ის...

**ხმოს. ზარაფოვი.** თქვენ გვასწრობთ, ერთობ ჩქარობთ..

**ხმოს. კ. ბებუთოვი.** ღამითმია თქვენთვის სიტყვა.

**ხმოს. სტ. გ. ბებუთოვი.** ნამდვილია, რომ ჩვენ მაშინ ყველანი თანხმანი ვიყავით ბ. ნიკოლაძისაგან წარმოთქმულ სიტყვისა, იმ სიტყვისა, რომლისთვისაც იმას მიაყენეს ესეთი მძიმე სასჯელი. ეს მეორე მაგალითია რუსეთში, რომ ქალაქის რჩევაში წარმოთქმულ სიტყვისათვის ამისთანა სასჯელს აყენებენ. . . . . . . . . .! . . . ! რადგან ეს საგანი ჩვენ ყველას შეგვეხება, ამის გამო წინადადება შემომაქვს, რომ ქალაქის თავისა ანუ ცალკე დეპუტაციის საშუალებით ვიშუამდგომლოთ დ. მ. კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ ნიკოლაძეს აპატიონ.

**ხმოს. დოქტ. როტინიანცი.** ჩვენ არ შეგვიძლია აქ ადმინისტრაციის განკარგულებაზედ ვილაპარაკოთ. თუ ბ. ნიკოლაძეს უნდა, რომ აპატიონ, თითონ სთხოვოს. ამას გარდა ჩვენ არც კი ვიცით ნამდვილად—თუ რისთვის არის გაგზავნილი სტავრაპოლში.

**ხმოს. ალ. ზ. ჩოლაყაშვილი.** შუამდგომლობის საფუძვლად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ, რომ ბატ. ნიკოლაძე, როგორც ხმოსანი, სასარგებლო იყო ქალაქისათვის.

**ხმოს. კოსტ. ა. ბებუთოვი.** უველაზე პირველად ორიოდე სიტყვა ბ. როტინიანცის შესახებ: ჩვენ არ ვიცითო, ამბობს, თუ რისთვის არის ნიკოლაძე გაგზავნილიო. სეკრეტარმა ეს არის წაიკითხა იმის წერილი. ჩვენ ერთმანერთის რწმუნება დანდობა უნდა გვქონდეს. ვისაც სხვისი არა სჯერა, ის ვერც თავის-თავს ენდობა... რაიცა შეეხება თვითონ ამ საქმეს, კანონში, საქალაქო წესდებულებაში, პირ-და-პირ არის მოყვანილი სხდომის წესი; იქ არის ნათქვამი, რომ სხდომის რიგის მიმცემი და წესიერების დამცველი არის თავმჯდომარე. მე გადავიკითხე ამ შავ-ბედითი სხდომის პროტოკოლები, წავიკითხე ნიკოლაძის სიტყვა და იქიდამ ვსცან, რომ ამ სიტყვაში ისეთი არა ყოფილა-რა, რომ ამისთანა მძიმე სასჯელის ღირსი ყოფილიყოს...

**თავმჯდომარე.** მე ვერ შემიძლია ნება მოგცეთ თქვენ, რომ ამ სასჯელზედ ილაპარაკოთ,—ამის უფლება არა გვაქვს ჩვენ...

**ხმოს. კ. ა. ბებუთოვი.** მე არ ვეხები აქ ადმინისტრაციის განკარგულებას. ვამბობ მხოლოდ, რომ თუ ნიკოლა-

---

რისგან მოვლილი და აღწერილიც იყოს, მაგრამ უსმინეთ ჩემს ნორჩ კალამსაც,—იქნება ძველთან ახალიც გაგაგონოსთ რამე... ახალიც არ იყოს, ერთჯერ ნათქვამით რომ გავიმეოროთ, მეტი არ იქნება, რადგან საზოგადოთ ჩვენი ხალხი, ჩვენი საზოგადოება ერთჯერ და ორჯერ ნათქვამს იშვიათად შეისმენს.—დიახ! სამჯერ და ოთხჯერ უნდა ჩასძახო, რომ ერთჯერ ყური გაიპარტყუნოს და პირდა-პირ შემოგხედოს... მაგრამ მკითხველი მაინც ნუ დაღონდება: ორთქლით მატარებელი ძლიერ ჩქარა მიდის და ღვთით მალე მივალთ ხარკოვში. მხოლოდ ჯერ მომეცი ნება, მინამ შემიძლია, გადავავლო თვალი ჩვენს საყვარელს კავკასიას.

მშვენიერია კავკასიის ბუნება! სასიამოვნოა აქ მოგზაურობა! ვისაც უვლია რუსეთის რკინის გზებზე, დაიჯერებს, რომ იქ დიდხანს კი არა, ცოტა ხანსაც ვერ გაძლებს კაცი, რომ ძილი არ მოერიოს. სრულიად ამ გზებს არ ემსგავსებიან კავკასიის გზები: ამათ სულ სხვა გვარი თვისება აქვსთ, თვისება უკეთესი და უმშვენიერესი.

აქ მგზავრი შოულობს საშუალებას წაართვას თავი ყვინთსა და ძილს, რადგან ხედავს თვის გარშემო ყოველ მხრით მდიდარს და მშვენიერს ბუნებას, მისს მრავალგვარს ცვლილებას, რომელსაც თვალს ვერ აშორებს. აჰა, აღემართნენ მისს თვალის წინ მაღალი კლდეები და იმათ თვალ-უწვდენელ წვეტებზედ დიდრონი ხეები; ამ ხეებს გადმოუშვერიათ შორს შტოები, რომელზედაც სხედან სხვა-და-სხვა გვარი ფრინველები და აყრუებენ სტვენითა და სიმღერით მსმენელებს. შორდება ერთს კლდეს და აჰა, მეორე კლდის დიდის სიმაღლიდამ სიჩქარით მორბიან და მოვარდებიან ძირს წმინდა მჩქეფარე წყაროები. იმალებიან ეს სურათები და—მოჩნდება სხვა-და-სხვა გვარად, კიდევ უფრო მშვენივრად შემკობილი და გარდაშლილი ბუნება: აქ მწვანე ფოთლებით შემოსილ მაღალ წიფლებს მიუმალავსთ სადღაც ზეცაში თავისი წვეტები; იქ აღყვავებულან და ამწვანებულან თვალ-გარდაუწვდენელი ტყეები; ქვევით, დიდრონ დაკიდებულ კლდეებს შუა მირბის შუილ - ხუილით გაგიჟებული მდინარე...

ერთის სიტყვით, მგზავრი შესჩერებია გაკვირვებით კავკასიას,

„სადაც ბუნებამ დიდებულად ზღვა-
თა და ბართა
შესამკობელად ფრიალონი წინ აღუ-
მართა;
სადაც მთათ წვერნი ცისა კიდეს
ებჯინებიან,
ველნიცა მარად ყვავილებით იმო-
სებიან,
და მთაზედ რბიან წალკოტთ შუა
წყალნი მცინარნი;
აქ სიყვარულსა სტვენენ მარად ბულ-
ბულნი წყნარნი,
რა ფუფუნებით ზამთარ-ზაფხულს
ვარდნი შლილობენ,
ღამით ზეფირი, დილით ნამი მაზედ
ხარობენ.
აქა ცა არის ლურჯი, წმიდა,
მნათი მარად ჟამს...“

აი ამისთანა მშვენიერ ბუნებასთან დაჰყო პუშკინმა დიდ ხანს და აქ

ძის სიტყვა ურიგო სიტყვა იყო, თავსმჯდომარის მოვალეობა იყო, რომ ის გაეჩერებინა. მაგრამ თავსმჯდომარემ მხოლოდ ორჯელ შეაჩერა. ჩემის აზრით, ნიკოლაძის სიტყვაში გასაკიცხავი და ასე მძიმე სასჯელის ღირსი არა იყო-რა, გარდა ორიოდ-სამიოდ მკვახე სიტყვისა...

**თავსმჯდომარე.** კიდევ გიმეორებთ, რომ მე ვერ მოგცემთ ნებას აქ, რომ ადმინისტრაციის განკარგულებაზედ ილაპარაკოთ. მოგიყვანთ კანონის მუხლს და სენატის გარდაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ჩვენ არ გვაქვს უფლება ნამესტნიკის განკარგულებას შევეხოთ.

**ხმოს. კ. ა. ბებუთოვი.** გაზეთის გამოცემის დროს არა-ერთხელ წაუკითხავთ ჩემთვის ეგ მუხლი კანონისა და ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ განმათავისუფლოთ მაგ მუხლის გაგონებისაგან... მე ვამბობ, რომ ხმოს. ნიკოლაძე თავის სიტყვაში იცავდა იმ თვით-მმართველობას ქალაქისას, რომელიც მოგვენიჭა დ. მ. კავკასიის მთავარ-მმართებლის ნებართვით. მართალია, ცოტა არიყოს, მკვახე სიტყვები იხმარა, მაგრამ ეს სიტყვები გამოწვეული სხვა გარემოებისაგან. . . . . . ერთხელ და სამუდამოთ უნდა ვიცოდეთ, უნდა შევიტყოთ ჩვენ: კანონის წინაშე ვართ ჩვენ პასუხის-მგებელი ქალაქის რჩევაში წარმოთქმულ ყოველ სიტყვისათვის, თუ არა?.. ეს ახალი წინადადება შემომაქვს მე რჩევაში და გთხოვთ, რომ მომავალ სხდომის საქმეთა სიაში ჩარიცხოთ ამ საგანზედ მსჯელობა. რაც შეეხება კერძოთ ხმოს. ნიკოლაძის საქმეს, ამის შესახებ მე ვეთანხმები ხმოს. ზარაფოვის წინადადებას. შუამდგომლობას მით უფრო მომეტებული საფუძველი ექნება, რომ იმ სხდომის პროტოკოლის წარდგენამდი დაუნიშნეს იმას ეს სასჯელი.

**ხმოს. აბგ. იოანისიანი.** მე მგონია, ჩვენგან რიგი არ არის, რომ ნიკოლაძის პატიებაზე ვიშუამდგომლოთ. შეიძლება ამით კიდევ უფრო გაუფუჭოთ საქმე. ნიკოლაძემ თვითონ იცოდა, რასაც ამბობდა, ყმაწვილი არ არის ის...

**თავს-მჯდომარე.** საგანი საკმაოდ გამორკვეულად მიმაჩნია, ამის კითხვების დადგენას შევუდგები. პირველი კითხვა იქნება: ვიშუამდგომლოთ დ. მ. კავკასიის მთავარ-მმართებლის წინაშე, რომ ნიკოლაძეს აპატიონ და სტავროპოლიდამ დაბრუნების ნება მისცენ.

— ვინც ამის თანახმა ხართ, გთხოვთ წამოდგეთ.

ადგა სამი კაცი.

**თავს-მჯდომარე.** მეორე წინადადება არის: დ. მ. კავკასიის მთავარ-მართებელს წარუდგინოთ მთელი ამ საქმის გარემოება და ვთხოვოთ მხოლოთ, რომ თავის მოწყალე ყურადღება მიაქციოს იმას.—ვინც თანახმა ხართ ამისა, გთხოვთ წამოდგეთ.

— ადგა სამი კაცი.

**ხმოს. პ. ა. იზმაილოვი.** იქნება ხმოსნობის მოვალეობის აღსრულების დროს ნიკოლაძე ხშირად სცდებოდა, ხშირად რიგიან და სასარგებლო აზრებს ვერ წარმოსთქვამდა, მაგრამ ჩვენ თანახმა ვართ, რომ, როგორც ხმოსანი, ის სასარგებლო წევრი იყო რჩევისა. აი ახლაც სტავროპოლშიაც მყოფობის დროსაც შეუძლიან იმას სარგებლობა მოგვიტანოს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენში ამ ჟამად საქონლის სიძვირეა და მოპეტებული ნაწილი ჩვენი საკლავი საქონლისა ჩრდილოეთ კავკასიიდამ მოდის. ამის გამო მე შემომაქვს წინადადება, მივანდოთ ნიკოლაძეს, რომ გაიცნოს ჩრდილოეთ კავკასიაში რქიან საქონლის ვაჭრობის საქმე და ამ შრომისათვის ჯამაგირი ან სახარჯო ფული დაუნიშნოთ...

კრებაში სიცილი მოისმის.

რჩევამ ვარი-ჰყო ეს წინადადებაც. დათანახმდნენ მხოლოთ იმაზე, რომ სთხოვონ ნიკოლაძის ხმოსნად დარჩენა.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ჩვენ შევიტყეთ და ეს გარემოება დღევანდელ „კავკაზ“-შიაც არის გამოცხადებული, რომ მთის ინჟინერებს ბ.ბ. სიმონოვიჩსა და საროკინს, რომელნიც ქუთაისის გუბერნიაში იმყოფებიან ამ ჟამად გეოლოგიურისა და მინერალოგიურის მხრით გამოსაკვლეველად, სხვათა შორის, აღმოუჩენიათ, რომ შორაპნის მაზრას გარდა ქვა-გუნდა (მარგანეცი) იპოება აგრეთვე ცხენის-წყლისა და რიონის ნაპირებზე, ქუთაისის ქვემოთ, სოფ. ბოდოგანს, ჩალას-თავს, მდ. ჭიშურის, როკინისა და ძირულის ნაპირებზე, სოფ. კვალითის, სვირის, ოჩხისა და საზოგადოდ დასავლეთის მხრით თითქმის შავის ზღვის ნაპირებამდინ; ბევრ ალაგას გურიაში და სამეგრელოშიაცაო. ასე რომ ამ ინჟინერების დაახლოებითი გამოანგარიშებით შავ-ქვას (ქვა-გუნდას) თითქმის 1400-მდინ ოთხ-კუთხი ვერსის სივრცე უჭირავსო.

ამ მანძილზე ზოგან მდ. რიონიდამ ორი-სამი ვერსის სიშორეზედ არის ქვა-გუნდის მადანიო, ზოგან ხუთიექვსი ვერსის სიშორეზედ რკინის გზის სტანციებთანაო.

თუ ეს ამბავი გამართლდა (უეჭველია მართალი უნდა იყოს), მაშინ საჩხერისა და საზოგადოთ შორაპნის მაზრის ქვა-გუნდის მადანს, რაღა თქმა უნდა, მაზანდა დაუვარდება, რადგან რიონით წაღება მადნისა ერთი ათად უფრო იაფად დაჯდება, ვინემ ვსთქვათ ჭიათურიდამ ყვირილამდინ და იქედამ ფოთამდინ.

***

თ. ალექს. ზ. ჩოლაყაშვილის ბანკირის კანტორა, როგორც შევიტყეთ, მომავალის წლის 1 იანვრიდამ იწყებს თავის მოქმედებას. ამ ბანკირის კანტორის მოთავე იქნება მხოლოთ თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილი, რადგან ერთი მისი ამხანაგი ი. ი. ზუბალოვი გამოვიდა ამხანაგობიდამ და მეორე—თ. ზ. გ. ერისთავი, დიდის ხნით საზღვარ გარეთ წასვლის გამო ამხანაგობაში მონაწილეობას ველარ მიიღებს.

***

ახალ-ციხიდამ გვწერენ, რომ ამ უეზდის რამდენიმე სოფელი მომავალის წლიდამ სახელოსნო შკოლების გამართვას აპირებსო. ტფილისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორს ბ. სტრელეცკის დაუვლია ამ ახლო ხანში ეს უეზდი და რამდენსამე სოფელს გამოუცხადებია სურვილი ამ შკოლების გამართვისა; ახლავე შეუდგნენ სახლების დაქირავებას, მასწავლებლების დაჭერას, ფულებს აგროვებენო და მომავალის 1 იანვრიდამ, იმედი აქვთო, რომ რამდენიმ, სახელოსნო შკოლა გაიმართებაო. ამ საქმეში, როგორც გვაცნობებენ, დიდი მონაწილეობა მიუღია ადგილობრივ უეზდის უფროსს ბ. ნიკ. მესხიევს.

***

თფილისის პირუტყვთა დამცველი საზოგადოება გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ რადგან საზოგადოების სეკრეტარი თფილისიდამ სხვაგან წავიდა, ამის გამო 28 ენკენისთვისას ვის დანიშნული საზოგადო წლიური კრება გარდადებულია 5 ღვინობისთვის დილის 11 საათზე.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

**წვრილი ამბები.** ვენის გაზეთების სიტყვით, დულცინიოს საქმეს ეხლა იმისთანა დრო დაუდგა, რომ ის ჩაითვლება ევროპის ან შერცხვენის ან ომიანობის წინა დღედ. საფიქრებელია, რომ „შერცხვენა“ უფრო ეღირსება ევროპას, ვიდრე ომიანობა, რადგანაც ამ მოკლე ხანში მოლაპარაკება არის შეერთებული ფლოტის ჯარის ხმელეთზედ გადაყვანაზე, და ამ მოლაპარაკებით საეჭოა, რომ სახელმწიფოები შეთანხმდნენ.

—

**გოლოსის** ვენელი კორრესპონდენტის სიტყვით, იქაურს დიპლომატიურს წრეებში შესაძლოთ ჰსთვლიან ევროპის შეერთებულ ფლოტის ამ მოკლე ხანში დაშლას.

—

„პოლფიის სააგენტო“ გვაცნობებს, ალმოსავლეთის და ირლანდიის საქმეთა მდგომარეობის გამო ინგლისის

---

გარდაშალა იმისი ნიჭი. ბუნების სიმშვენიერე ალტაცებს პოეტის წარმოდგენას, აღძრავს მისს გრძნობას და აძლევს მას წერის სურვილს და მასთანვე მრავალგვარ მასალებს... არ ვიცი, რა გვარი ლოღიკა უტრიალებდა თავში, არ ვიცი რა სასმელის ორთქლებით ჰქონდა დაბნეული თავში ტვინი იმ პირს (პროფესსორს), რომელმაც წარმოსთქვა თავის სიტყვაში პუშკინის ძეგლის კურთხევის დროს, რომ პუშკინი „კავკასიაშიაც კი შოულობდა მასალებს თავის პოეზიისათვისა“—ო!..

აბა სად უფრო უნდა ეშოვნა მასალები პუშკინს, სად უფრო უნდა ალტაცებულიყო პოეტი სად უნდა გაშლილიყო პოეტის წარმოდგენა და ფანტაზია, თუ არ კავკასიაში?

დიახ მშვენიერი და მდიდარია კავკასიის ბუნება, მაგრამ სხვები უფრო სარგებლობენ იმით, სხვები უფრო ალტაცებაში მოდიან იმისაგან ნამმი. ჩვენ ქართველები. ჩემი მოგზაურობის დროს ქართველებს ზოგს ეყვინთებოდათ და ზოგს ეძინათ ვაგონში, მაშინ როდესაც რუსეთელი გზავრი გაგიჟებით ათვალიერებდა ამ გარდაშლილ ბუნებას და ალტაცებით იმეორებდა:—„რა მშვენიერია! ოხ, საკვირველებავ! აი მშვენიერი ბუნება!..“ ამასთანავე დაღონებით იხსენებდა თავის გაფხეკილ მინდვრებს; მისს სახეზე შენიშნავდი კაცი, რომ ამას დიდი ხნისა და ღრმა ძილისაგან ახლა გაუღვიძიაო.

იქნება სთქვა, მკითხველო, რომ ქართველ კაცს მობეზრდა სულ იმისი მზერაო; მაგრამ აი რას გეტყვით. მშვენიერის ხილვა არაოდეს არ მომწყინდება და არ მოგყიჭდება კაცს, თუ ის გიყვარს, თუ მასში უმზერ თავის ინტერესს. აი მაგ: მშვენიერია „ვეფხვის ტყაოსანი“ და თავის სიმშვენიერეს არ ჰკარგავს ის იმ პირისთვის, რომელიც კარგათ დაუკვირდება იმის შინაარსს.,—არ ჰკარგავს ინტერესს, თუ გინდ ათასჯერაც წაიკითხოს. ნუ თუ ჩვენი ქვეყანა ჩვენთვის არ არის საინტერესო? ნუ თუ ჩვენ უფრო არ უნდა ვცდილობდეთ იმით სარგებლობას? მაგრამ არა, ჩვენს ბუნებას სხვა ნაირის თვისება აქვს:

მშვენიერი ხარ, კავკასო!
ვის ძალუძს შენი გაგება?
მაგრამ თვისებით, გავტყდები,
ცუდია შენი ბუნება;
როგორც დრომდის, თან-და-თან
ქართველ კაცს ძილსა უმატებს;
სხვის შვილს ახარებს, აღვიძებს,
თვისას კი ღრმა ძილში აგდებს.
სად არის აწ ის ქართველი,
რომელს დღე-ღამ არ ეძინა
და მამულისა დაცვისთვის
ღამოდა სისხლი ედინა?

მინამ გემში ჩავსხდებოდით, გარდავავლე უკანასკნელად თვალი ჩვენს ქვეყანას და გამოვეთხოვე; ჩავსხედით გემში და კიდევ ვადევნებდი თვალს შორი მთების წვეტებს, მინამ სრულიად არ დაიმალნენ თვალისგან...

სილოვან.

(დასასრული შემდეგ №-ში)

პარლამენტის გავლენიანი წევრნი აპირობენო მმართებლობას სხოვონ, რომ პარლამენტი ნოემბერში იყოს მოწვეულიო.

იმავე საგენტოს სიტყვით, ყველა მოელის, რომ ზღვის დემონსტრაციის სახელმწიფოები თავს დაანებებენ და ხომალდები შინ დაბრუნდებიან.

—

ინგლისური გაზეთის *Standard*-ის კორრესპონდენტი რაგუზიდამ იწერება, შეერთებული ფლოტის ყველა აფიცრები იმედოვნებენო, რომ შეიძლება დულცინიოზე ზარბაზნის დაშინება სრულიად არ მოხდესო. მათის სიტყვით, სირცხვილიცაა დიდი ჯავშნიანი ფლოტისათვის ზარბაზნის სროლა დულცინიოსთანა პატარა სოფლისათვის, რომლის ერთად-ერთი დანაშაულობა მხოლოდ იგია, რომ მისს მცხოვრებელთ არ უნდათ უცხო და საძულეველის გვარტომობის ხელში გადასვლა.

—

ამ დღეებში ხონთქარს აბდულ-ჰამიდს ულაპარაკნია გერმანიის ელჩთან გატცფელდთან. სხვათა შორის ლაპარაკი ჩამოვარდნილა ხალხთა შორის უფლებაზე, და აბდულ-ჰამიდს უთქვამს, მე ვერ დავიჯერებო, რომ ექვსმა უმთავრესმა სახელმწიფომ მართლა გამოიმეტოს დასანთხევად ალბანიელებისთანა პატარა, მაგრამ მამაცი ხალხის სისხლი, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იმათ სამშობლოის მხურვალე სიყვარული აქვსთო.

—

21 ენკენისთვეს პარიჟში გამოვიდა ფელიქს პიას გაზეთის „*La Commune*“-ის პირველი ნუმერი. ხელმძღვანელს სტატიაში პია ამბობს, რომ მისი მიზანი კომუნა არის. ამ წერილში სხვათა შორის შემდეგი არის ნათქვამი:

„ჩვენ ახლაც იგივე მტერები გვყავს, რომელნიც 4 ენკენისთვეს გვყვანდენ. იმათთვის ჩვენ წაგვირთმევია პარიჟი და კვლავადაც წივართმევთ. ბელლვილი ხომ ეხლაც ჩვენია. როცა იგინი თავს დაგვესხნენ ჩვენ და საფრანგეთს ორჯერ მოგვაშორეს, ჩვენ იძულებულნი ვიყავით იარაღისთვის ხელი წაგვევლო და 18 მარტი გვეწარმოებინა. ახლა კი, როცა პარიჟს თავისუფალი მიმოსვლა აქვს დანარჩენს საფრანგეთთან, კენჭის-ყრაც საკმაო იქნება კომუნის ხელ-ახლავ დაარსებისათვის. აი მაშინ იქნება ჩვენში ნამდვილი რესპუბლიკა.“

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრ საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი — ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი — შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი — ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუჩარიანცი — ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი — ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი — ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი — თვალისა, ბაბოვი — გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი — ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი — შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი — შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი — ალის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის, პომერანცოვი — გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი — ყელის და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუჩარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი — შიგნეულის, ბახუტოვი — ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი — ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი — ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეისი — თვალის ბაბოევი — გულისა და შიგნეულების და გერმიშევი - შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ბ ა ე ვ ი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორო ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ს ტ ი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

# განცხადებანი

**ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგიური რჩევა** ამით აუწყებს, რომ 28 აგვისტოს და 4 სექტემბრიდგან ამ 1880 წლის ჟურნალის დადგინებით მოიწოდებიან გიმნაზიის პანსიონში დაცლილს ადგილებზე შემდგომნი კანდიდატები:

1) **გრიგოლ ნიჟარაძე**, თ. იოსებ ნიჟარაძის-ძე, ქუთაისის უეზდის სოფლის მაღლაკისა, რომელიც მიიღება მოსამზადებელ კლასში.

2) **ბაგრატ ქუთათელაძე**, აზნაურის ივანე ქუთათელაძის-ძე, ქუთაისის უეზდის, დაბა-ხონისა, მიიღება მოსამზადებელ კლასში.

3) **ირაკლი ჩინჩალაძე**, აზნაურის სპირიდონ ჩინჩალაძის-ძე, შორაპნის უეზდის, სოფლის ძინოტისა, მიიღება მესამე კლასში.

4) **ასლან ჟღენტი**, აზნაურის ანტ. ჟღენტის-ძე, შორაპნის უეზდის, სოფ. ქვა-ციხისა, მიიღება მესამე კლასში.

5) **ისაკ კალანდარიშვილი**, აზნაურის ხოსია კალანდარიშვილის-ძე, ოზურგეთის უეზდის, სოფლის ძვირიკისა, მიიღება მეოთხე კლასში.

6) **კონსტანტინე წერეთელი**, აზნაურის დიმიტრი წერეთლის-ძე, რაჭის უეზდის სოფლის ჯვარისისა, მიიღება მეოთხე კლასში.

7) **ნოე გეგელაშვილი**, ქვრივი, მატრონა გეგელაშვილის-ძე, ქუთაისის უეზდის, სოფლის მესხეთისა, მიიღება მეორე კლასში.

გარდა ამისა რჩევა საჭიროდ სთვლის წინათვე გამოაცხადოს, რომ მალე მოიწოდებიან იმათთანვე სიაში დახლოებულნი, აღნიშნულნი კანდიდატები, რომელთაც წლოვანებით ნება აქვსთ პანსიონში შემოსვლისა. იგინი არიან შემდგომნი:

1) **ლონგინოზ ჩიკვაიძე**, აზნაურის თომა ჩიკვაისის-ძე, რაჭის უეზდის, სოფლ. სხვავისა.

2) **გიორგი ჩხეიძე**, აზნაურის ბახვა ჩხეიძის-ძე, ქუთაისის უეზდის, სოფლის ოფჩისა.

3) **ისიდორე გიორგობიანი**, სპირიდონ გიორგობიანის-ძე, რაჭის უეზდის, სოფელ. გორის-უბნისა.

4) **მიხაილ დევდარიანი**, აზნაურის სპირიდონ დევდარიანის-ძე, შორაპნის უეზდის, სოფელ. ხარაგოულისა.

(3—1)

---

რ ე ს ტ ო რ ა ნ ს

## შვეიცარიაში

თ. მუხრანსკის სახლში

მუზიკალური საღამო

25 სექტემბერს დაიწყება 8 საათზედ.

2—1

---

ინგლისის მაღაზიაში მიღებულია შეკოლადი და კაკაო ფრაი.

(20—1)

---

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში (ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით)

იყიდება მარი ივანეს-ძის

## ბროსსეს

სურათები, თითო 30 კ. ამ სურათებისაგან შემოსული ფულით გამოიცემა თვით ბროსსეს ზოგიერთი სტატიები, რომელიც ფრანცუზულის ენიდამ ქართულად ნათარგმნია.

გარეშე მცხოვრებელთათვის ადრესი:

Въ Тифлисъ въ книжный магазинъ Зах. Чичинадзе.

(10—4)

---

# ახალი გამოფენა

ოთხი თვის მოქმედების ნაყოფი

„ფილრკოვიჩის და ამხ.“

ფოტოგრაფიისა

(საგანგებოდ აშენებულს სახლში)

გოლოვინის პროსპექტი, თ. ი. ზუბალოვის სახლი თფილისის კრების გვერდით, ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ საღამოს 8-მდე.

10—5

---

პატენტიანი ჩრდილები

**თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ.** ინგლისურს მაღაზიაში.

(100—59)

---

დამშეულთ სასარგებლოდ ყოფილის ვამოფენის დაბოლავებით მოსპობის გამო არის

დ ი დ ი

## დაყიდვა

ზეთიერი და აკვარელის სურათებისა გასაკვირველ იაფად, ბ. მირზოევის ყოფილს სამხატვრო გამოფენაზე, გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლში ვესტლის ფოტოგრაფიის გვერდით. გაყიდვა იწყება ამ თვის 4-დამ ამავე წლის 1 პირველ ოკტომბრამდე. იმავ რიცხვიდამ გამოფენის სადგომის ერთი წილი ჰქირავდება. იქვე ეზოში იყიდება რკინის განჯინები (შკაფები).

(8—8)

---

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

**რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.**

**თმის გასამაგრებელი**

მაკ - მასტერი

**ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო** ინგლისის მაღაზიაში **ეს წამალი ხლა 2 მაეთად დირს.**

(100—54)

---

ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად

მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.

(25—22)

Дозволено цензурою. Тифлисъ 23 Сентября 1880 г. Типографя Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი